

მთლიანობა და უცხო: ქართულ ხალხურ რელიგიურობაში სახლთან
დაკავშირებული რიტუალების ანალიზი

ნინო გაჩეჩილაძე

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე რელიგიის კვლევების მაგისტრის
აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

პროგრამა: რელიგიის კვლევები

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ქეთევან გურჩიანი, ასოცირებული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

2019

როგორც წარდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნაშუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არიან მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად

ნინო გაჩეჩილაძე

26.06.2019

აბსტრაქტი

ქართულ ხალხურ რელიგიურობაში არის რიტუალები რომელთა შესრულებაში მნიშვნელოვან როლს თამაშობს საცხოვრებელი სახლი. ეს ნაშრომი წარმოადგენს რამდენიმე ასეთი რიტუალის თვისობრივ ანალიზს. ანალიზისთვის კონკრეტულ თეორიულ ჩარჩოდ შერჩეულია ბრიტანელი ანტროპოლოგის მერი დაგლასის იდეები მისი წიგნიდან „სიწმინდე და საფრთხე.“ თეორიულ ჩარჩოსთან ერთად გამოყენებულია ცნებები და იდეები სამეცნიერო ლიტერატურიდან, როგორცაა დაგლასის (1991), ბურდიეს (1970), სურგულაძის (1987), აბაკელიას (2010) წერედიანის, თუითის და ბუხრაშვილის (2018) სტატიები, რომელშიც ვლინდება სახლის მნიშვნელობა.

საკვლევი რიტუალები მთელ საქართველოში იყო გავრცელებული და დღესაც არიან ადამიანები, რომლებიც ასრულებენ მათ ან წარსულში მიუღიათ მონაწილეობა მათში. კვლევის მთავარი პირველადი წყაროები სწორედ ამ ადამიანებისგან მოვიპოვე სიღრმისეული ინტერვიუსა თუ მათ მიერ შესრულებულ რიტუალზე დაკვირვების მეთოდით. ანალიზის მთავარი ობიექტებია რიტუალის კონკრეტული შემთხვევები, ძირითადად ჩემ მიერ მოპოვებული მასალებიდან. შედეგები დიდწილად განზოგადებია ყველა სხვა შემთხვევაზე.

თეორიული ჩარჩო ამბობს, რომ ადამიანებისთვის მათი მოცემულობა წარმოადგენს სისტემურ წესრიგს, მოწესრიგებულ მთლიანობას, ხოლო ის, რაც ამ წესრიგში არ შედის არის ანომალია და უცხო. სახლის შესახებ ლიტერატურა კი ავლენს, რომ სახლი არის სწორედ ასეთი მოწესრიგებული მთლიანობა, ხოლო ყველაფერი, რაც მის მიღმაა, მასთან მიმართებაში წარმოადგენს უცხოს. ანალიზმა აჩვენა, რომ ყველა რიტუალის მნიშვნელობა დაკავშირებულია სახლთან, როგორც მთლიანობასთან. სპეციალური რიტუალები ინიშნება მაშინ, როცა მთლიანობა რაღაც ფორმით (უცხო ელემენტის შემოჭრით ან მისი ელემენტების დაფანტვით) დარღვეულია. ამ რიტუალების მთავარი მნიშვნელობა არის სწორედ ამ დარღვეულ მდგომარეობასთან გამკლავება. რაც შეეხება პერიოდულ რიტუალებს, ისინი ტარდება ყოველ წელს

ერთსა და იმავე დღეს და მათი მნიშვნელობაა მთლიანობის, უცხოს ან მთლიანობის უცხოსთან მიმართების მთავარი მახასიათებლების რიტუალური დაფიქსირება.

შედეგები მნიშვნელოვანია რამდენიმე თვალსაზრისით. ერთი მხრივ, ეს რიტუალები დაგლასის თეორიის შუქზე აქამდე არასდროს განხილულა. ამდენად, ეს კვლევა ახალი პერსპექტივიდან უყურებს მათ და შესაბამისად ავლენს მათ ახალ მნიშვნელობებს. გარდა ამისა, შერჩეულმა თეორიულმა ჩარჩომ შესაძლებლობა მომცა, რომ ეს, ერთი შეხედვით, ერთმანეთისგან დამოუკიდებელი რიტუალები დამენახა ერთ მთლიან სურათად, რამაც ახალი სივრცე გააჩინა სამომავლო კვლევებისთვის: საინტერესო იქნება სახლთან დაკავშირებული სხვა რიტუალების შესწავლა და ამ სურათის გაფართოება. ამასთან, იქიდან გამომდინარე, რომ ყოველი ზოგადი თეორია თუ იდეა ყოველ კონკრეტულობაში თავისებურად ვლინდება და ეს კონკრეტულობა ახალი პერსპექტივიდან გაჩვენებს ზოგადს, ამ თვალსაზრისით ეს კვლევა საინტერესოა თავად თეორიის და სახლის ზოგადი იდეის მხრივაც.

ძირითადი საძიებო სიტყვები: მერი დაგლასი, სიწმინდე და საფრთხე, სახლის მნიშვნელობა, ქართული ხალხური რელიგიურობა, ფუძის ანგელოზი, ბატონები, ჭონა

Abstract

In Georgian folk religion there are rituals in which home is a very important space. This paper is a qualitative research, which investigates some of these rituals. The theoretical framework for the analysis is the theory of a British anthropologist Mary Douglas from her book "Purity and Danger." With this theoretical framework I also use the concepts and the ideas from the academic sources such as Douglas's (1991), Burdieu's (1970), Surguladze's (1987), Abakelia's (2010) Tserediani's Tuite's and Bukhrashvili's (2018) articles, which reveal the meaning and the essence of home

These rituals were spread all over Georgia and even today there are some persons who keep them or were participating in them in the past. I have got my primary sources from such persons using two methods: an interview and an observation. The main objects of the analyses are the concrete examples of keeping these rituals. These examples are chosen from the sources I have collected. The results of the analyses can be generalized to all other cases of keeping these rituals.

According to theoretical framework humans see their reality as a systematic order, as an organized wholeness and everything, which is not included in this order, is supposed as an anomaly and as a stranger. The academic sources about the essence of home reveal that home is an example of this organized wholeness and everything outside is a stranger to it. The analyses revealed that the meaning of the above mentioned rituals is connected to home, which is an organized wholeness. There are special rituals and periodic rituals. The special rituals are kept when this wholeness is disordered. The meaning of such rituals is to surmount this disorderliness. What about the periodic rituals, they are kept every year on a concrete date. The meaning of them is to reflect periodically on main characteristics of wholeness or the world outside it or the relationship between them.

The results of the research are important in different aspects. Firstly, until now these rituals never were investigated with the theory of Mary Douglas. It means that this research sees them from the different perspective and therefore reveals their new meanings. Beside this,

the theoretical framework helped me to see these exteriorly independent rituals with regard to each other as a whole picture. I think that this fact will pave the way for the new researches: it will be interesting to investigate other rituals from Georgian folk religion with the same theory and in this way widen the above mentioned whole picture. Furthermore, each concrete situation reveals any general theory in its own way and gives you a chance to see this general theory from a new perspective. For this reason the results of this research are important in respect of Mary Douglas's general theory and the general idea of home.

Key Words: Mary Douglas, Purity and Danger, the Meaning of Home, Georgian Folk Religion, Household God, Batonebi, Chona

მადლობა

ამ ნაშრომის მომზადებაში გაწეული დახმარებისთვის დიდ მადლობას ვუხდით ჩემს სამეცნიერო ხელმძღვანელს, ქეთევან გურჩიანს. ნაშრომის შექმნაში ძალიან დამეხმარა როგორც მისი რჩევები და კონსულტაციები, ასევე სამაგისტრო საფეხურზე სწავლის პერიოდში მასთან გავლილი კურსები, რომელიც ძალიან ნაყოფიერი აღმოჩნდა ჩემთვის. ასევე მინდა, მადლობა გადავუხადო ჩემს რესპოდენტებსა და ინფორმანტებს, რომ დამითმეს ამდენი დრო და გულისხმიერად ჩაერთნენ კვლევის პროცესში.